ხელშეკრულებაN 2/

საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესახებ

ქ. დუშეთი 20.01. 2016 წ.

ერთის მხრივ, , სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვისპირის საჯარო სკოლა (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი , დირექტორის მამუკა არაბულის სახით, ხოლო

მეორეს მხრივ **შპს „საქართველოს ფოსტა“** (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი , დუშეთის საფოსტო ს/ცენტრის მენეჯერი , ნათია ლაფანაშვილის სახით,ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი CPV 64100000

1.1. შემსრულებელი, დამკვეთის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ უწევს მას საფოსტო-საკურიერო მომსახურებას, „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

1.2. „მომხმარებლის სახელმძღვანელო“ განთავსებულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე www.gpost.ge. და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი, მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ფასი შეადგენს , 50.00 (ორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით .

2.2. საფოსტო-საკურიერო მომსახურების ღირებულება,მომსახურების თითოეული სახეობის მიხედვით, განისაზღვრება დანართ #1-ში, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2.3. დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოებს საანგარიშო თვეში ფაქტობრივად განხორციელებული საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესაბამისად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსრულებლის მიერ ანგარიშფაქტურის დამკვეთისთვის წარდგენიდან 10(ათი)სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4. ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

მუხლი 3. შემსრულებლის უფლებები და ვალდებულებები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები;

3.1.2. მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი ღირებულების სანავლოდ მიაწოდოს დამკვეთს 4.2.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

3.1.3. აუნაზღაუროს დამკვეთს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი;

3.1.4. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ამ ხელშეკრულებით და „მომხმარებლის სახლმძღვანელოთი“ განსაზღვრული პირობები.

3.1.5. აცნობოს დამკვეთს „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ განხორციელებული ყველა ცვლილების შესახებ.

3.1.6 თუ შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო 4.13 პუნქტში მითითებულ ვადაში ვერ ხერხდება გზავნილის გადაცემა დაბრუნდეს შესაბამის სერვის ცენტრში.

3.2. შემსრულებელს უფლება აქვს:

3.2.1. მოსთხოვოს დამკვეთს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობითმასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

3.2.2. მოთხოვოს დამკვეთს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

3.2.3. არ განახორციელოს გზავნილის მიღება ან/და საფოსტო საკურიერო მომსაუხრების გაწევა, თუ დამკვეთს გააჩნია დავალიანება მის მიმართ ან გზავნილი არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით დადენილ მოთხოვნებს.

3.2.4 ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია დამკვეთის მიერ გადარიცხული თანხების შესახებ.

3.2.5. უარი განაცხადოს საფოსტო-საკურიერო მომსახურების გაწევაზე, ან/და საფოსტო გზავნილის მიღებაზე, თუ დარღვეულია ამ ხელშეკრულებაში და/ან „მომხმარებლის სახელმძღვანელოში"მითითებული პირობები.

მუხლი 4. დამკვეთის უფლებები და ვალდებულებები

4.1 დამკვეთი ვალდებულია:

4.1.1. საფოსტო გზავნილის მისაღებად დაუბრკოლებლად გაატაროს თავის შენობაში შემსრულებლის წარმომადგენლები, ან გასცეს შენობაში შესვლის მუდმივი საშვი.

4.1.2. მკაცრად დაიცვას გზავნილების გაფორმების და მომზადების თაობაზემომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული პირობები.

4.1.3. არ დაუშვას საფოსტო გზავნილის მისაღებად მასთან მისული შემსრულებლის წარმომადგენლის მოცდენა. ამასთან, მოცდენად ჩაითვლება გარემოება, როდესაც შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად გამოცხადდება მის მისამართზე, ხოლო დამკვეთი შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გადასცემს მას საფოსტო გზავნილს 30 წუთის განმავლობაში.

4.1.4. შემსრულებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ.

4.1.5. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით განახორციელოს საფოსტო საკურიერო მომსაუხრებისათვის შესაბამისი ღირებულების გადახდა.

4.1.6 გზავნილების შექმნის და მოძიების ელექტრონულპროგრამაში მუშაობის უზრუნველსაყოფად ისარგებლოს ბარკოდ წამკითხველი რიდერით.

4.1.7. აუნაზღაუროს შემსრულებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი;

4.1.8. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით, ამ ხელშეკრულებით და „მომხმარებლის სახელმძღვანელოში"მითითებული პირობები.

4.1.9. შესრულებელთან ურთიერთობისას (ელ.პროგრამაში მუშაობის უზრუნველსაყოფად) გამოყოს საკონტაქტო პირი: სახელისა და გვარის, პირადი ნომრის, საკ:ტელეფონისა და ელ.ფოსტის მითითებით: მამაუკა არაბული ტელ :577-676 676

4.2. დამკვეთსუფლება აქვს:

4.2.1ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების გადახდის სანაცვლოდ მოითხოვოს ინფორმაცია გაწეული საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესახებ.

4.2.2. მოთხოვოს შემსრულებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

4.2.3. დამკვეთი უფლებამოსილია დეკემბრის თვეში გაწეული საფოსტო-საკურიერო მომსაუხრების თანხა დაფაროს მომდევნო წლის იანვრის ბიუჯეტიდან.

5.მხარეთა პასუხისმგებლობა და დაუძლეველი ძალა

5.1 შემსრულებელი,ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებს „მომხმარებლის სახელმძღვანელოთი" დადგენილი ოდენობითა და წესით.

5.2. დამკვეთი, ამ ხელშეკრულებით 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

5.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

5.4. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომელიც განსაზღვრულია „მომხმარებლის სახელმძღვანელოში".

5.5.მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველი ძალის გარემოებაზე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმ ფარგლებში, რომლებშიც მას ხელი შეუშალეს დაუძლეველი ძალით გამოწვეულმა გარემოებებმა. ამასთან, იგი არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების იმ სხვა ვალდებულებათა შესრულებისგან, რომელთა შესრულებასაც ხელს არ უშლის დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები.

5.6. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთისათვის დაუძლეველი ძალის დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა, აცნობოს შემსრულებელს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს დაუძლეველი ძალის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.

5.7 შემსრულებლის მიერ ინფორმაცია დაუძლეველი ძალის დადგომის შესახებ გამოქვეყნდება შემსრულებლის ვებ გვერდზე.

5.8. მხარე ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დასრულებიდან.

5.9. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათ) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად.

7. დავის გადაწყვეტის წესი

7.1. მხარეები ადგენენ, რომ ანგარისწორებასთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია განხილული უნდა იქნეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, მხარის მიერ პრეტენზიის წერილობითი ფორმით მიღების დღიდან.

7.2 სოფოსტო საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაწყდება მომხმარებლის საელმძღვანელოში გასაზღვრული პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულების ვადა და მოშლა

8.1. წინამდებარე ხელშეკრუკლება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს , 2016 წლის 31 , დეკემბრის ჩათვლით;

8.2. წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება მოიშალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

8.3. თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამ მუხლით გათვალისწინებული წესის დაუცველად თუ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ მოვალეობებს და შესაბამისმა მხარემ განუსაზღვრა მას გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო დამრღვევმა მხარემ ვერ უზრუნველყო დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორება.

9.დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, საფოსტო საკურიერო მომსაუხრების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით გზავნილის მიტანა ხორციელდება მხოლოდ ერთხელ.

9.4. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება გათილია, მიუხედავად გათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების გათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს გათილი დებულების გარეშე.

9.5. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დაწყებიდან ძალადაკარგულად ცხადდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა ზეპირი მოლაპარაკება ან/და წერილობითი შეთანხმება, ან მათი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.

9. 7. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

,,დამკვეთი"	*„შემსრულებელი"*
სსიპ სოფელ არაგვისპირის საჯ სკოლა	*შპს ,, საქართველოს ფოსტა"*
მის:1800,ქ.დუშეთი, სოფელი არაგვისპირი	*მის: 0100 თბილისი, ვაგზლის მოედანი*
	ტელ: 240909
სს"ლიბერთი ბანკი"	*ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"*
ბანკის კოდი:LBRTGE22	*ბანკის კოდი: BAGAGE22*
ა/ნ-GE54LB0121133621173000	*ანგ. ნომერი: GE13BG0000000123286800*
ს/კ. 229322211	*ს/კ 203836233*
ხელმოწერა	ხელმოწერა